



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



წერილის ნომერი: 31-312230011
თარიღი: 27/10/2022

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სხდომის ოქმი N 10

ქ. ლანჩხუთი

24.10.2022 წელი

14:00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“
თავმჯდომარე: **კახაბერ ასკურავა**.

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე: **გიორგი გოგუაძე**.

ფრაქციის მდივანი: **ირმა მგელაძე**.

ფრაქციის წევრი: **გივი ცინცაძე**.

სხდომას ესწრებოდა მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: **როლანდ ლაშია**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი: **ირაკლი ხუზუნაიშვილი**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი: **თამარ ფირცხალაიშვილი**, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების მთავარი ბუღალტერი: **ანზორ როყვა**, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე**, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი: **ნინო ჭანტურიშვილი**.

ფრაქციის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კახაბერ ასკურავა/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სექტემბრის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი კახაბერ ასკურავა/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ონკოქეა ჯორჯიასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კახაბერ ასკურავა/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კახაბერ ასკურავა/

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კახაბერ ასკურავა/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კახაბერ ასკურავა/

7. სხვადასხვა საკითხები.

ფრაქციის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააუარესა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ**, რომელმაც განმარტა, რომ ცვლილების შედეგად სოფელ ორაგვეში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ადგილობრივი ბიზნესისა და ტურიზმის განვითარებისათვის (გადმოსახედი, ზიპლაინის, საფეხმავლო და ველოსპორტის ბილიკების, გამოქვაბულის მიმდებარე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა) გამოყოფილი თანხა შემცირდა 18062 ლარით მათ შორის ცენტრალური დაფინანსება 17881 ლარით, ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსება 181 ლარით. საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 24 აგვისტოს N1534 განკარგულებით შევიდა ცვლილება 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებაში. ცვლილების შედეგად ქ.ლანჩხუთში მრავალბინიანი სახლის სახურავის რეაბილიტაცია შემცირდა 14781 ლარით. მათ შორის ცენტრალური

დაფინანსება 14042 ლარით, ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსება 739 ლარით. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა გაიზარდოს 169728,14 ლარით. მოთხოვნის განხილვის შედეგად ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის დაფინანსება გაიზარდოს 11872 ლარით. ა(ა)იპ სპორტული ცენტრის დაფინანსება გაიზარდოს 24640 ლარით. ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დაფინანსება გაიზარდოს 50000 ლარით. სარეზერვო ფონდი გაიზარდოს 10000 ლარით, სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამა გაიზარდოს 90000 ლარით, მოსწავლეთა ტრანსპორტირება გაიზარდოს 5000 ლარით, მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა გაიზარდოს 10000 ლარით, ამასთან ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების პროგრამა გაიზარდოს 13000 ლარით, ბიკარბონატული ჰემოდიალიზით თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების ხარჯის 8000 ლარით და მედიკამენტის შეძენაზე დახმარების პროგრამის 5000 ლარით შემცირების ხარჯზე. სპორტის ხელშეწყობის საქონელი და მომსახურების 2000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 2000 ლარით. ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით გაიზარდოს სანებართვო მოსაკრებელი 10500 ლარით, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 150000 ლარით, ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით ნაშთიდან მიიმართოს 70092 ლარი. ანალიზის შედეგად მომსახურების გაწევიდან შემოსავლები შემცირდეს 30000 ლარით.

კახაბერ ასკურავა დაინტერესდა, რის საფუძველზე მოხდა სახელფასო ფონდის გაზრდა კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებაში, რაზეც ანზორ როყვამ უპასუხა, რომ გარანტია იყო საკუთარი ხარჯები, კერძოდ, სკოლებიდან და თეატრიდან მიღებული შემოსავალი. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის თეატრი ახლახან გასტროლებზე იმყოფებოდა ბათუმში, სადაც ბილეთებიც გაიყიდა. მან ასევე აღნიშნა, რომ ხელფასები გაიზარდა მხოლოდ 10%-ით ივნისის თვიდან და სულ წლიური სახელფასო ფონდი არის 700000 ლარი.

კახაბერ ასკურავა დაინტერესდა, თუ ვინ უმოწმებს ხარჯებს კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას, რაზეც ანზორ როყვამ უპასუხა, რომ მათი მაკონტროლებელი არის აუდიტის სამსახური.

ირმა მგელაძე დაინტერესდა, დაემატა თუ არა ხელფასი ბიბლიოთეკარებს, რაზეც გაერთიანების მთავარმა ბუღალტერმა უპასუხა, რომ ბიბლიოთეკარებს ხელფასი 10%-ით გაეზარდათ მიმდინარე წლის ივნისის თვიდან.

ირმა მგელაძემ დასვა შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, რომ 2014 წელს ლანჩხუთის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას საჩუქრად გადაეცა „პროექტორი“ და დაინტერესდა არის თუ არა დღეს ფუნქციონირებაში, რაზეც ანზორ როყვამ უპასუხა, რომ „პროექტორი“ ამჟამად ინვენტარში არ ირიცხება.

კახაბერ ასკურავამ სთხოვა ცენტრის ბუღალტერს, დაუსაბუთოს მოთხოვნილი 50000 ლარის მიზნობრიობა. საკითხთან დაკავშირებით ანზორ როყვამ გააკეთა განმარტება და თქვა, რომ 20000 ლარი სჭირდებათ საახალწლო ღონისძიებების ორგანიზებისთვის, 15500 ლარი არის 10%-იანი ხელფასის მატების ფონდის ხარჯი, 4000 ლარი ესაჭიროებათ ბიბლიოთეკებისთვის წიგნების შესაძენად, 3500 ლარი

„პროექტორის“ შესაძენად, თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების დროის აღმრიცხველი აპარატისთვის ესაჭიროებათ 2000 ლარი, სამეჯლისო ცეკვის მოსწავლეების ფორმებისთვის 2000 ლარი, რაც ჯამში არის 47000 ლარი, დანარჩენი თანხა, გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის.

გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტი, რომელიც წინა წლის ნოემბრის თვეში დამტკიცდა მათ გარეშე, გამოდის იყო 9 თვის, რომელიც წესით 13 თვის უნდა ყოფილიყო.

გიორგი გოგუაძე დაინტერესდა, ახალმა ხელმძღვანელმა ჩაატარა თუ არა ქონების ინვენტარიზაცია, რაზეც ანზორ როყვამ უპასუხა, რომ ინვენტარიზაცია უკვე ჩატარდა კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებაში.

გიორგი გოგუაძე დაინტერესდა, დატოვა თუ არა ინვენტარი საზღვარგარეთ გასტროლზე წასულმა თეატრმა, რაზეც ანზორ როყვამ უპასუხა, რომ ეს ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს და საფრანგეთში მნიშვნელოვანი ინვენტარი არც წაუღიათ.

კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ ის არ აპირებს აღნიშნულ ცვლილებას მხარი დაუჭიროს, რადგანაც გაერთიანებას ახლა არ უნდა ახსენდებოდეს, რომ თანხა სჭირდება ღონისძიების გასამართად. ასევე მისთვის მიუღებელია ისიც, რომ „პროექტორი“ არ ირიცხება კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ქონებაში. აგრეთვე, ძალიან ცუდად მიაჩნია ისიც, რომ ჯარიმები, რომლებიც სამშენებლო სამუშაოების შეუსრულებლობაზე შემოდის, ნიშნავს იმას, რომ ჩავარდნილია რიგი ინფრასტრუქტურული პროექტები.

გიორგი გოგუაძე დაინტერესდა, მაშინ როდესაც სახელოვნებო სკოლები, ბალების გაერთიანება გაიგებს, რომ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას დაუმატეს გარკვეული თანხა და მათაც მოითხოვონ დამატება, შეიტანენ კიდევ თუ არა ცვლილებას ბიუჯეტში, რაზეც როლანდ ლაშხიამ უპასუხა, რომ თუ იქნება რესურსი ბიუჯეტში და თანხა იქნება ანგარიშზე, იმ შემთხვევაში დაუმატებენ.

ირმა მგელაძე დაინტერესდა, რეორგანიზაციის დასრულების შემდეგ არსებული სახელფასო ფონდიდან დაიზოგა თუ არა თანხა, რაზეც მიიღო განმარტება, რომ მოხდა შიდა გადაბალანსება და თანხის დაზოგვა არ მომხდარა.

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სექტემბრის თვის შესრულების ანგარიში სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მან განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2022 წლის სექტემბრის თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 759424 ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა ტრანსფერმა შეადგინა 759424 ლარი; საანალიზო პერიოდში შემოსავლებმა (კაპიტალურის ჩათვლით) 1186857.11 ლარი შეადგინა, რაც წლიურ გეგმასთან მიმართებაში შეადგენს 71,9 %-ს; დღგ-მ შეადგინა 947908.43 ლარი, რაც

წლიურ გეგმასთან მიმართებაში შეადგენს 75.1 %-ს; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი - 7026.16 ლარი, მათ შორის ფიზიკური პირებიდან - 4955.16 ლარი; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი - 5126.82 ლარი; სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტში შემოსულია 202431.184 ლარი, მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის შემოსულია 6374.51 ლარი; საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია - 1639.95 ლარი; ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები - 747.38 ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავებით მიღებულია 154492.354 ლარი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2022 წლის სექტემბრის თვეში შემოსულობებმა 1946281.11 ლარი შეადგინა. განვლილ საფინანსო პერიოდში შრომის ანაზღაურება დროულად იქნა გაცემული და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობა არ დაფიქსირებულა. განვლილ საფინანსო პერიოდში ხარჯის სახით გაწეული იქნა 19102501.2 ლარი. სექტემბრის თვეში შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 3653230 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გაიცა 1756910 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 3667514 ლარი; სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 4652238 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 7695667 ლარი. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ საერთო ჯამში, მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლების დინამიკა მიმდინარეობს ნორმალურად და ყველა ვალდებულება შესრულებულია.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ონკოქეა ჯორჯიასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა, **ირაკლი ხუხუნაიშვილმა** და განმარტა, რომ მუნიციპალიტეტს განცხადებით მომართა ა(ა)იპ „ონკოქეა ჯორჯია“-ს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ქალბატონმა ირმა, გრძელიძემ რომლითაც მოთხოვნილია ქ. ლანჩხუთში, ჟორდანია ქუჩა N 126 - ში მდებარე , მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობის (ყოფილი სასტუმროს შენობა) მესამე სართულზე მდებარე N 216 ოთახის ფართობ 43,90 კვ.მ. გამოყოფა ორგანიზაციის ფუნქციების და წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად . ა(ა)იპ „ონკოქეა ჯორჯია“ არსებობს 2014 წლიდან, მისი მიზნები და ამოცანებია: 1. ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების გაერთიანება და მათი მხარდამჭერი ჯგუფების შექმნა. 2. ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების ფიზიკური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და რეაბილიტაცია, მათი საზოგადოებაში სოციალიზაცია და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. 3. საზოგადოების ყურადღების მიპყრობა ძუძუს კიბოს პრობლემისადმი და ადრეული დიაგნოსტიკისა და სკრინინგული კვლევების მნიშვნელობის შესახებ მოსახლეობაში ინფორმაციის გავრცელება. 4. სარეაბილიტაციო ჯგუფებისა და პროგრამების შექმნა. 5. ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების ლობირება და ადვოკატირება, მათი პრობლემების წარმოჩენა და ინტერესების დაცვა ნებისმიერ დონეზე. 6. სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობა. 7. სამეცნიერო პოპულარული ლიტერატურის დაბეჭდვა-გავრცელება. 8. სხვადასხვა მიზნებისათვის გრანტების, ჰუმანიტარული დახმარების შემოწირულობების მიღება და გაცემა. ირაკლი ხუხუნაიშვილმა აღნიშნა, რომ მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა გაუქმდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 თებერვლის N 6 განკარგულება და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „რუდუნის“-თვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 2 მარტის N ბ30,30210611 ბრძანება და ა(ა)იპ „ონკოქეარ ჯორჯია“-ს გადაეცეს სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 (ორი) წლის ვადით ქ. ლანჩხუთში, ჟორდანია ქუჩა N 126 - ში მდებარე , მუნიციპალურ

საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობის მესამე სართულზე მდებარე N 216 ოთახი ფართით 43,90 კვ.მ.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ისაუბრა მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა, **ირაკლი ხუზუნაიშვილმა** და განმარტა, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი N 5/55066 რომელიც შეეხება ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამბულატორიის კერძოდ: გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე გვიმბალაურის ადმინისტრაციულ შენობა- ნაგებობაში პირველ სართულზე არსებული 70.56 კვ.მ ფართი ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ჩიბათის ადმინისტრაციულ შენობა ნაგებობაში პირველ სართულზე არსებული 159.66 კვ.მ ფართი და მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მამათის ადმინისტრაციულ შენობა ნაგებობაში პირველ სართულზე არსებული 78.80 კვ.მ ფართი უძრავი ქონებების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემას შემდგომში ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო პოლდინგისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით სიმბოლურ ფასად 1(ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით, სადაც მოხდება „სოფლის ექიმის“ კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელება. მან ასევე აღნიშნა, რომ ზემოხსენებული უძრავი ქონებებიდან მამათის ადმინისტრაციულ შენობა ნაგებობაში პირველ სართულზე მდებარე 78.80 კვ.მ ფართი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ძირითად (გაუსხვისებელ) ქონებას, აღნიშნული ქონება არ გამოყენება მუნიციპალიტეტის საჯარო ფუნქციების შესასრულებლად და უფლებამოსილების განსახორციელებლად. ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, რომ მოხდეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით რეგისტრირებული უძრავი ქონებების ს/კ 27.08.46.002.01.500, 27.09.46.013.01.500 სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა ხოლო ს/კ 27.01.42.015.01.503 რეგისტრირებულ უძრავ ქონების კატეგორია ძირითადი (გაუსხვისებელი) ქონებიდან შეეცვალოს დამატებითი ქონების სახით, რის შემდგომაც მოხდეს სახელმწიფოსათვის გადაცემა.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ ისაუბრა, **ირაკლი ხუზუნაიშვილმა** და განმარტა, რომ მუნიციპალიტეტს განცხადებით მომართა ა(ა)იპ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი“-ს დირექტორმა დიტო მარშანიშვილმა, რომლითაც მოთხოვნილია ქ. ლანჩუთში, ნინოშვილის ქუჩა N 37 - ში მდებარე , მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობის პირველ სართულზე მდებარე (N 19 - 21.06 კვ.მ; N 28 - 36,99 კვ.მ; N 29 - 10,09 კვმ

და N 30 - 21,03 კვ.მ. საერთო ფართით 89,17 კვ.მ.) ფართის გამოყოფა „სპორტული მუზეუმი“-ს ფუნქციონირებისათვის. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა ა(ა)იპ „სპორტულ ცენტრ“-ს გადაეცეს სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით მისი არსებობის ვადით ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქუჩა N 37 - ში მდებარე , მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობის პირველ სართულზე მდებარე 89,17 კვ.მ ფართი.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**, რომელმაც განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა“ (პროგრამის ბიუჯეტი 51600 ლარი) და „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა“ (პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 40000 ლარს). ადრეული განვითარების პროგრამის ტრანსპორტირებისთვის ვალდებულია აღებულია 6000 ლარზე, რეაბილიტაცია აბილიტაციის ტრანსპორტირებისთვის გახარჯულია 24230 ლარი და დარჩენილია 9770 ლარი. მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისების სამსახურის მიერ გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია ქ. ლანჩხუთში მიმღებ ოჯახში განთავსებული სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების რაოდენობის შესახებ, რომლებიც საჭიროებენ „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამით“ და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით სარგებლობას. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით 1 ბავშვი საჭიროებს „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამით“ სარგებლობას, ხოლო 3 აღსაზრდელი „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამით სარგებლობას. ზემოაღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს შშმ ბავშვების განვითარების ხელშეწყობას.“ ბავშვების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გამოიძებნოს ფინანსური რესურსი სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებული ბავშვებისთვის მათი ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის საჭირო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. საჭიროა ზემოაღნიშნულ ორივე პროგრამაში როგორც პროგრამულ ბიუჯეტში ასევე სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესში მიეთითოს შენიშვნის სახით ქ. ლანჩხუთში მიმღებ ოჯახში განთავსებული სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ ბავშვებზე არ გავრცელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის ვალდებულების ჩანაწერი. „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამით“ სარგებლობისთვის ბიუჯეტში დამატებითი სახსრების მობილიზება საჭირო არ იქნება და იგი განხორციელდება არსებული რესურსის ფარგლებში. ხოლო 3 ბავშვის ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების

დაფინანსებისთვის „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმშლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამაში საჭირო იქნება დამატებით ბიუჯეტში 3000 ლარის დამატება. დღეის მგომარეობით ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა 21- მდე გაიზარდა რის გამოც წლის ბოლომდე პროგრამაში საჭირო იქნება დაახლოებით 10000 (ათიათასი)ლარის დამატება პლიუს 3000 ლარის სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებული ბავშვების და მათი თანმშლები პირების ტრანსპორტირებისათვის. ჯამში „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმშლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამაში 13000 ლარის დამატება იქნება საჭირო.

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.

სხვადასხვა საკითხები.

ირმა მგელაძე დაინტერესდა, თუ როდის დააკმაყოფილებს მუნიციპალიტეტი ფრაქციის მოთხოვნას, კომპიუტერის და პრინტერის შეძენასთან დაკავშირებით, რაზეც ქონების სამსახურის უფროსმა ირაკლი ხუხუნიაშვილმა თქვა, რომ ყველანაირად ეცდებიან დროულად მოგვარდეს ეს პრობლემა.

გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ იმის გამო, რადგანაც ლანჩხუთს არალიცენზირებული_მწვრთნელები ჰყავს, უფასო მიერ დაფინანსება არ ეძლევა ფეხბურთის სკოლას და დაახლოებით კარგავს 80000 ლარს.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

კახაბერ ასკურავა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

24.10.2022 წელი

14:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	კახაბერ ასკურავა	13:58	
2	გიორგი გოგუაძე	13:49	
3	ირმა მგელაძე	13:51	
4	გივი ცინცაძე	13:57	